| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მოწყობილია ქიმიის ლაბორატორია, რომელსაც აქვს ფანჯრებით განიავების შესაძლებლობა, დამონტაჟებულია გამწოვი. არის სველი წერტილი და ლაბორატორიული სამუშაოს შესაბამისი მაგიდები. მეორე სართულზეა ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორია. დგას ინდივიდუალური მერხები. ორივე ლაბორატორიაშია დამონტაჟებული პროექტორი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესყიდვების წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზუალური დათვალიერების მიხედვით საჭიროებისამებრ ხდება ლაბორატორიის ინვენტარისა და რესურსების შევსება/განახლება რათა დაკმაყოფილებული იყოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N672 ბრძანება.<br><br>სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ საგაკვეთილო პროცესი ტარდება ლაბორატორიებში გაკვეთილის თემის შესაბამისი ინვენტარის გამოყენებით. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ლაბორატორიებში ჩატარებული გაკვეთილებისას გამოყენებული რესურსები უფრო მეტად ეხმარებათ თემის შესაბამისი საკითხების გაგება/გააზრებაში. საჭიროების შემთხვევაში ტარდება ცდა/ექსპერიმენტები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს ინსტა ჯორჯიასგან ლაბორატორიის ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები (2011 წ.);<br>• შპს კაისგან ლაბორატორიის ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები (2021 წ.);<br>• შპს GT Group-ისგან ქიმიური რეაქტივების შესყიდვის დოკუმენტები (2013, 2018 წ.წ.);<br>• შპს ბიოლაბისგან ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტი (2018 წ.);<br>• შპს ქიმიური კომპანია ჯეოგემისგან რეაქტივების შესყიდვის დოკუმენტები (2015, 2019 წ.);<br>• შპს ჯორჯიან მედიქალ სერვისისგან დინამომეტრის შესყიდვის დოკუმენტი (2021 წ.);<br>• შპს ჯეოგემისგან ქიმიური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტით (2021 წ.);<br>• AMAZON.COM-იდან ლაბორატორიის საშუალებების შესყიდვის დოკუმნტები (2021 წ.);<br>• მოსწავლეებთან გასაუბრება.<br>• ვიზუალური დათვალიერება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------
---------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას მიწოდება ელექტრო ენერგია, სასმელი წყალი და ბუნებრივი აირი. შენობა თბება ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობით. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული სასწავლო პროცესის წარსამართ საკლასო, კლასის განაყოფის, მუსიკის და ჭადრაკის ოთახები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერულ ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი და სხვა დამხმარე ოთახებს აქვს ფანჯრები და ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.<br><br>მოწყობილია 6 სველი წერტილი გოგონებისთვის, 4 ბიჭებისთვის და 2 თანამშრომლებისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;<br>• მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;<br>• მოხმარებული წყლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;<br>• ვიზუალური დათავლიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მოწყობილია ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია 4331 მხატვრული, მეთოდური და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | გრიფირებული წიგნი, 4 კომპიუტერი, 1 პრინტერი, ანბანური საძიებო კატალოგი. წიგნადი ფონდი გარდა რეგისტრაციის ჟურნალისა, შეტანილია ელექტრონულ საძიებო სისტემაში Open Biblio, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე. ბიბლიოთეკისათვის გამოწერილია რამდენიმე პერიოდიკა, მათ შორის: გაზეთი ახალი განათლება და ჟურნალი ისტორიანი. ვიზიტის პერიოდში, შემთხვევითი შერჩევით გადამოწმებულ წიგნებს ჰქონდათ ბეჭედი დასმული, მინიჭებული ნომერი და დაკრული იყო ჯიბაკი. „შპს „სადუნში“ ბიბლიოთეკის გამოყენების წესის (დებულების) დამტკიცების შესახებ“ შპს „სადუნის“ გენერალური დირექტორის 2021 წლის 22 ივნისის N1-46 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი (დებულება). სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებისათვის ბიბლიოთეკაში გამოკრულია სამუშაო პერიოდები და ქცევის წესები. პანდემიის პერიოდში დაწესებული რეგულაციის მიხედვით გამოყოფილია დაბრუნებული წიგნების საიზოლაციო სივრცე. სკოლის ბიბლიოთეკართან გასაუბრებისა და მისი 2021 წლის პირველი სემესტრის ანგარიშის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წიგნადი ფონდის მხატვრულ თუ მეთოდურ ლიტერატურას აქტიურად იყენებენ სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. ტარდება სხვადასხვა აქტივობა, რომელიც მოსწავლეებში წიგნის წაკითხვის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • წიგნების პერიოდულად შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• გაზეთ ახალი განათლების გამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>• ჟურნალ ისტორიანის გამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>• ბიბლიოთეკაში არსებული საანბანო საძიებო კატალოგი;<br>• Open Biblio;<br>• „შპს „სადუნში“ ბიბლიოთეკის გამოყენების წესის (დებულების) დამტკიცების შესახებ“ შპს „სადუნის“ გენერალური დირექტორის 2021 წლის 22 ივნისის N1-46 ბრძანება;<br>• ბიბლიოთეკართან გასაუბრება;<br>• სკოლის ბიბლიოთეკარის 2021 წლის პირველი სემესტრის ანგარიშით; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლის შენობის მეორე და მესამე სართულზე გადაადგილების ხელშესაწყობად აქვს მობრავი პანდუსები. შენობაში არის ორი ადაპტირებული სველი წერტილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | „შპს „სადუნის" სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 07 სექტემბრის N1-95 ბრძანების საათობრივი ბადის მიხედვით განსაზღვრული II-VI კლასების ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნის სწავლებისათვის სკოლის შენობის მესამე სართულზე მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორი, რომელშიც განთავსებულია 21 პერსონალური კომპიუტერი.<br><br>დაწესებულებას სწავლა-სწავლების მიზნებისათვის აქვს 24 კომპიუტერი და 4 ლეპტოპი, 5 ცალი პროექტორი, Smart Board და 3 ტელევიზორი. მიეწოდება ინტერნეტი.<br><br>სკოლის ვებ. გვერდია www.saduni.ge, რომელზეც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციის შესასრულებლად განთავსებულია: მისია, შინაგანაწესი, ინფორმაცია ადამინისტრაციის შესახებ, ელექტრონული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ჟურნალი, განცხადებები, სიახლეები, ფოტო და ვიდეო გალერეა, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და საკონტაქტო რეკვიზიტები. ვიზუალური დათვალიერების მიხედვით ვებ. გვერდზე ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს „სადუნის" სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 07 სექტემბრის N1-95 ბრძანება;<br>• შპს გეო-აპექსისგან კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია (2010, 2012 წ.)<br>• შპს ალტასგან კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია (2013 წ.);<br>• შპს მეგაპიქსელისგან ტელევიზორის შესყიდვის დოკუმენტაცია (2014)<br>• შპს უნიტექისგან კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია (2021, 2022 );<br>• შპს სმარტ კომპიუტერსისგან კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია (2016, 2017, 2018 წ.);<br>• შპს ალტაოქეისგან კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია (2016, 2018);<br>• შპს სმარტსისგან კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია (2019 წ.);<br>• შპს ულტრასგან კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია (2015, 2021 წ.);<br>• შპს NIXCOM-ისგან კომიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია (2012);<br>• AMAZON.CO-იდან კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია (2021);<br>• შპს მაგთიკომისთვის ჰოსტინგის მომსახურების საფასურის გადახდის დოკუმენტი;<br>• შპს სმარტ სერვისთან გაფორმებული ხელშეკრულება ვებ. გვერდზე ცვლილებების განხორციელების შესახებ;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების თანამშრომლებისა და მოსწავლეების უსაფრთხოებისათვის დამონტაჟებულია ხანძარსაწინაღმდეგო სისტემა. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები. არის სახანძრო ფარი. ხანძრის შემთხვევაში, საჭიროებისამებრ გამოიყენებენ შენობაში დამონტაჟებული წყლით ჩამქრობებს. სკოლის შენობის სახანძრო გასასვლელის თითოეული კარი აღჭურვილია შესაბამისი გაღებისა და ჩაკეტვის მექნიზმით. დერეფნებში დამონტაჟებულია შენობიდან გაღწევისა და გასასვლელების მაჩვენებლები.<br><br>„შპს „სადუნში“ საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „სადუნის“ სკოლის დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N1-12 ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და შემუშავებულია საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა.<br><br>ყველა სართულსა და სართულის ყველა დერეფანში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საგნაგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი - 112.<br><br>„შპს „სადუნის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ შპს „სადუნის“ სკოლის დირექტორის 2020 წლის 04 თებერვლის ბრძანება განსაზღვრავს ბავშვთა უფლებების დაცვისა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებების განხორციელების, სკოლის სტრუქტურულ ერთეულების კოორდინირებული მოქმედების ხელშემწყობ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პრინციპებსა და კონკრეტული შემთხვევების პრევენციებს.<br><br>პანდემიის პერიოდში, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისათვის შეძენილია შესაბამისი ინვენტარი, გამოკრულია პროცედურების ამსახველი დოკუმენტაცია და კონტროლდება შენობაში შემსვლელ პირთა სხეულის ტემპერატურა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ცეცხლმაქრობების შეძენის, გადამუხტვისა და სარქველების შეცვლის დოკუმენტაცია (2012, 2016, 2020, 2022 წ.წ.);<br>• ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შეძენისა და მონტაჟის დოკუმენტაცია (2019, 2021, 2022 წ.წ.);<br>• „სსიპ „სადუნში" საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" სსიპ „სადუნის" სკოლის დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N1-12 ბრძანება;<br>• „სსიპ „სადუნის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ „სადუნის" სკოლის დირექტორის 2020 წლის 04 თებერვლის ბრძანება;<br>• „სსიპ „სადუნში" კორონავირუსისათვის მზადყოფნისა და რეაგირების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" სსიპ „სადუნის" სკოლის დირექტორის 2021 წლის 01 სექტემბრის N1-126 ბრძანება;<br>• ვიზუალური დათვალიერება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | უფლებამოსილი პირის მიერ შემუშავებულია შენობის საევაკუაციო გეგმები, რომლებიც ყველა სართულზეა გამოკრული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება (2021 წ.);<br>• სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსგან მიღებული საევაკუაციო გეგმების მიღება ჩაბარების აქტი (2021 წ.);<br>• ვიზუალური დათვალიერება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------
---------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შემუშავებულია და „შპს „სადუნში" სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" სკოლის დირექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის N1-144 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.<br><br>შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი სხვადასხვა სამედიცინო ინვენტარითა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით. სასკოლო საზოგადოების წევრების მომსახურების ეფექტიანობის მიზნით მიმდინარეობს ინვენტარისა და მედიკამენტების პერიოდული განახლება და შევსება. სკოლას ჰყავს ექთანი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს „სადუნში" სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" სკოლის დირექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის N1-144 ბრძანება;<br>• ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>• სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების შეძენის დოკუმენტაცია (2012, 2013, 2014, 2015, 2017, 2018, 2020, 2021 წ.წ.). |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წესრიგის უზრუნველყოფის დაცვის უზრნველსაყოფად შემუშავებულია და „შპს „სადუნის" შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-105 ბრძანებითაა დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომლის დაწესებულების თანამშრომლებისათვის გაცნობის ერთ-ერთი აქტივობაა პედაგოგიურ საბჭოზე განხილვა.<br><br>დაწესებულების თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აღწერილია წესრიგის დაცვის მოთხოვნები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის მოსწავლეები, მოსწავლეების მშობლები და თანამშრომლები გასაუბრებისას აღწერენ სკოლაში წესრიგის დაცვის მახასიათებლებს მახასიათებლებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს „სადუნის" შინაგაწესის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-105 ბრძანება;<br>• თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.<br>• სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;<br>• სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. 16 კამერაა დამონტაჟებული შენობა-ნაგებობის დერეფნებსა და კიბის უჯრედებში. 10 - სკოლის ეზოში, ხოლო 4 გარე კამერა, ურთიერთმკვეთი ხედვით ეზოში მთავარ და სათადარიგო შესასვლელებში. ვიდეოსამეთავლყურეო სისტემის მონიტორები განთავსებულია სკოლის ეზოს მთავარ შესასვლელში აშენებულ დაცვის ოთახში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიდეო კონტროლის სისტემისა და დამონტაჟების დოკუმენტები (2016, 2018, 2020, 2021 წ.წ.); |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას გადაწყვეტილების მიღების, საქმიანობისა დაგეგმვის, შრომის მენეჯმენტისა და ფუნქციური პროცედურების წარსამართავად შემუშავებული აქვს შემდეგი დოკუმენტები:<br><br>შპს სადუნის წესდება, რომელიც შედგება შემდეგი შინაარსისგან: დაწესებულების სამართლებრივი ფორმა და საზოგადოების სახელი; საზოგადოების მისამართი, ფინანსური წილი, ძირითადი საქმიანობა; საზოგადოების იურიდიული სტატუსი, ძირითადი საქმიანობა; საზოგადოების პარტნიორები; პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები; პარტნიორთა კრება; წლიური ანგარიშის დამტკიცება; გენერალური დირექტორი; სკოლის დირექტორი (შეზღუდული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით); დივიდენდი; საზოგადოების რეორგანიზაცია, საქმიანობის შეწყვეტა; სხვადასხვა დებულებები.<br><br>„შპს „სადუნის" შინაგაწესის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-105 ბრძანებით დამტკიცებული შინაგაწესი, რომელიც შედგება შემდეგი შინაარსისგან: მოქმედების სფერო; შინაგაწესის მიზანი; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; თანამშრომელთა სამსახურში მიღება და გათავისუფლება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება; შრომითი ურთიერთობების განსაკუთრებული პირობები; სამუშაო დროის აღრიცხვა და კონტროლი; სკოლაში ჩაცმულობის წესი (თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის); შვებულების ხანგრძლივობა, მიცემის წესი და შრომითი ურთიერთობის შეჩერება; წახალისების ფორმები; დისციპლინური პასუხისმგებლობება და დისციპლინური წარმოების წესი; მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------



ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლიდან გადაყვანის პირობები; შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვა; დასვენითი დებულებები.<br><br>„შპს „სადუნის" თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-106 ბრძანება, რომელიც შედგება საშტატო განრიგით განსაზღვრული პოზიციების განსაზღვრული პირების - გენერალური დირექტორი, სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, კლუბის ხელმძღვანელი, კათედრის ხელმძღვანელი, დამრიგებელ კოორდინატორი, ადმინისტრაციული პერსონალი, ადმინისტრაციული მენეჯერი, ჰასპის ლიდერი, ორგანიზატორი, IT მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ექთანი, ლოგოპედი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, იურისტი, მთავარი მზარეული, მზარეული, კვების ბლოკის მარაგების მთავარი სპეციალისტი, ჭურჭლის მრეცხავი, კვების ბლოკში მომსახურე პერსონალი, დარაჯი, დამლაგებელი, მებაღე - სამუშაო ფუნქციების აღწერისაგან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სადუნის წესდება;<br>• „შპს „სადუნის" შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-105 ბრძანება;<br>• „შპს „სადუნის" თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-106 ბრძანება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სკოლას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. აღნიშნული დოკუმენტების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------
--------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | შემუშავება ეფუძნება SWAT ანალიზის გამოყენების პრაქტიკას.<br><br>„შპს „სადუნის“ ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს სადუნის დირექტორის 2021 წლის 30 ნოემბრის N1-142 ბრძანებით დამტკიცებული ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის სტრატეგიული მიზნებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსების განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; მშობელთა ჩართულობის გაზრდა; ორგანიზაციული განვითარება.<br><br>„შპს „სადუნის“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს სადუნის დირექტორის 2021 წლის 07 სექტემბრის N1-98 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მისაღწევი ამოცანების შესრულება 2021-2022 სასწავლო წლისათვის შემდეგი მიმართულებებით: ახალი სასწავლო წლის დაწყებისას აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადება; ახალი პროგრამების შემუშავება და დანერგვა; სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა (საკლასო და დისტანციურ რეჟიმში); სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება; მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის მოტივაციის გაზრდა; პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესება; აკადემიური გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა; ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (მაგ.: სკოლის ეზოს, ბიბლიოთეკისა და ლაბორატორიების კეთილმოწყობის გაგრძელება. ინფორაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და ა.შ.); წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგი; სკოლაში სხვადასხვა ინფექციების გავრცელების პრევენცია; მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასწავლო პროცესში.<br><br>სკოლის ვიზუალური დათვალიერებითა და თანამშრომლებთან გასაუბრებით დასტურდება გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განხორციელება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს „სადუნის" ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" შპს სადუნის დირექტორის 2021 წლის 30 ნოემბრის N1-142 ბრძანება;<br>• „შპს „სადუნის" ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" შპს სადუნის დირექტორის 2021 წლის 07 სექტემბრის N1-98 ბრძანება;<br>• სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქსტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქსტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქსტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | „შპს „სადუნში" საქმისწარმოების დამტკიცების შესახებ" შპს სადუნის დირექტორის 2020 წლის 03 იანვრის N1-1 ბრძანებით განსაზღვრულია შპს „სადუნის" საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც აღწერს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენების პროცედურებს. დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ადმინისტრაციულმა მენეჯერმა წარმოადგინა ბრძანებების, ხელშეკრულებების, გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალები. მათი სანდოობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად ყველა ჟურნალი აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი გაფორმებულია სკოლის მიერ შემუშავებულ სატიტულო ფურცელზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს „სადუნში" საქმისწარმოების დამტკიცების შესახებ" შპს სადუნის დირექტორის 2020 წლის 03 იანვრის N1-1 ბრძანება;<br>• ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები;<br>• გასული და შემოსული რეგისტრაციის ჟურნალები; |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------

-----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----------------



ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ცნობების გაცემის ჟურნალი;<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• ადმინისტრაციული მენეჯერთან გასაუბრება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სკოლას ჰყავს შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი:<br><br>სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 50 პედაგოგთან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საათობრივი ბადის სრულად დატვირთვას. ჰყავს 23 კლასის მეთვალყურე (დამრიგებელ-კოორდინატორი).<br><br>სკოლას ჰყავს გენერალური დირექტორი, დირექტორი, 2 მოადგილე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწყებით და საბაზო-საშუალო საფეხურზე. ადმინისტრაციული მენეჯერი, ჰასპის ლიდერი, ორგანიზატორი, IT მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ტექნიკური უზრუნველყოფის 2 სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ექთანი, ლოგოპედი, შრომის უსაფრთხოების 2 სპეციალისტი, იურისტი, მთავარი მზარეული, მზარეული, კვების ბლოკის მართვის სპეციალისტი, კვების ბლოკში 2 მომსახურე პერსონალი, ჭურჭლის მრეცხავი, 2 დარაჯი, 4 დამლაგებელი, 1 მებაღე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• eSchool-ის ბაზა;<br>• შინაგანაწესი;<br>• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• საშტატო განრიგი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 50 |
| მოწვეული/მაძიებელი | 16 (11მოწვეული, 2 მაძიებელი, 3 დამატებითი საგნის მასწავლებელი) |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | - |
| უფროსი მასწავლებლი | 33 |
| წამყვანი მასწავლებლი | - |
| მენტორის სტატუსი | 1 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წარმოდგენილ მასწავლებლების პირად საქმეებში დევს დოკუმენტაცია მათი კვალიფიკაციებისა და/ან მინიჭებული სტატუსებისა და ნასამართლეობის შესახებ.<br><br>აღნიშნული პირადი საქმეებისა და სსიპ - განათლების მართვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საინფორმაციო სისტემის მონაცემების გადამოწმების მიხედვით, სკოლას სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლები შერჩეული ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებლების პირადი საქმეები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | „შპს „სადუნის" შინაგაწესის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-105 ბრძანებით განსაზღვრულია წახალისების ფორმები; წახალისების გამოყენების წესი; დისციპლინური წარმოების წესი; დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი პირი; დისციპლინური წარმოების დაწყება; საქმის გარემოებების გამოკვლევა; დისციპლინური წარმოების წესი; დასაქმებულისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების დაუშვებლობა; დასქმებულისათვის დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა; დასაქმებულის დისცპილინური გადაცდომა და დისციპლინური სახდელები; ტექსტების შინაარსი აღწერითია და დაკონკრეტებულია თითოეული შემთხვევა, რეაგირების ფორმები და ვადები.<br><br>შინაგანაწესით განსაზღვრულ მიღების პროცედურებს აკონკრეტებს „შპს „სადუნში" კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2020 წლის 01 სექტემბრის N1-55 ბრძანება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს „სადუნის" შინაგაწესის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-105 ბრძანება;<br>• „შპს „სადუნში" კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2020 წლის 01 სექტემბრის N1-55 ბრძანება. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | „შპს „სადუნის" შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-105 ბრძანებით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და მიღების წესი; თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების წესი; შრომითი ურთიერთობის შეჩერება;<br><br>საშტატო განრიგის შესაბამისად სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულებები.<br><br>მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სტატუსის მითითებითა და სტატუსის შესაბამისი ფუნქციების აღწერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს „სადუნის" შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-105 ბრძანება;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას მასწავლებლებისა და სხვა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარებისათვის შემუშავებული აქვს დებულება და წესი.<br><br>„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილების შესაბამისად ჩართულია სქემაში. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | „შპს „სადუნის" ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი დებულების დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" სკოლის დირექტორის 2020 წლის 06 ნოემბრის N1-147 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მიხედვით მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასება და საჭიროებაზე ორიენტირებული განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება. სკოლის მასწავლებლები გასაუბრებისას აღწერენ გაკვეთილებზე დასწრების პროცედურებს და მასწავლებლის ან კლასის საჭიროების შესაბამის აქტივობებს. სკოლაში ტარდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობები.<br><br>სკოლა უკვე ათწლეულზე მეტია ფუნქციონირებს. მუშაობენ თითქმის დაარსების დღიდან დასაქმებული მასწავლებლები, რომლებიც ახალგაზრდა კადრების პროფესიული განვითარების ხელშემწყობებად ითვლებიან. გასაუბრებისას, ახალგაზრდა მასწავლებლები აქტიურად საუბრობენ სკოლაში მათი დასაქმების შემდეგ პროფესიული გამოცდილების განვითარების შესახებ.<br><br>გარდა ამისა, სკოლას „შპს „სადუნის" ადამიანური რესურსების პროფესიული გამნვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" სკოლის დირექტორის 2021 წლის 01 სექტემბრის N1-78 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს „სადუნის" ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი დებულების დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" სკოლის დირექტორის 2020 წლის 06 ნოემბრის N1-147 ბრძანება;<br>• „შპს „სადუნის" ადამიანური რესურსების პროფესიული გამნვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შპს „სადუნის" სკოლის დირექტორის 2021 წლის 01 სექტემბრის N1-78 ბრძანება;<br>• ტრენინგების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება;<br>• სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეები, მოსწავლეების მშობლები და თანამშრომლები გასაუბრებისას აქტიურად საუბრობენ სკოლაში არსებული დაცულობისა და კეთილგანწყობის გარემოს შესახებ. მოსწავლეები აქცენტს აკეთებენ მასწავლებლებსა და დამრიგებელ-კოორდინატორებთან ურთიერთობის ასპექტებზე. მშობლები აქტიურად აღნიშნავენ დამრიგებელ-კოორდინატორების ჩართულობას მოსწავლეთა სასკოლო თუ დისტანციური წავლების რეჟიმში და აღნიშნავენ, რომ მაღალი ნდობა აქვთ მათდამი. კმაყოფილებას გამოთქვამენ მათგან ინფორმაციის მიწოდების სისტემატურობისა და კონკრეტულ საჭიროებაზე თანამშრომლობის შესახებ. მასწავლებლები აღნიშნავენ სკოლაში არსებული ურთიერთობების მრავალწლიან გამოცდილებას, როგორც კოლეგებთან, ასევე ადმინისტრაციასა და მოსწავლეების მშობლებთან.<br><br>სკოლის თანამშრომლებს შორის გარდა სკოლის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული დოკუმენტებით განსაზღვრული თანამშრომლობის ფორმალური აქტივობებისა, არსებობს არაფორმალური აქტივობების შემთხვევებიც. პანდემიის დასრულების შემდეგ, კვლავ აპირებენ არაფორმალურ გარემოში კოლექტიურ შეხვედრებს.<br><br>სკოლის ფსიქოლოგი გასაუბრებისას აღნიშნავს პანდემიური შეზღუდვების გავლენას, როგორც მოსწავლეებზე, ასევე, თანამშრომლებზე და აღწერს მათთან გაწეულ საქმიანობას.<br><br>სკოლის მოსწავლეები საუბრობენ სწავლების პროცესში წყვილში და ჯგუფებში შესასრულებელი დავალებებისა და ერთობლივი პროექტების, საკლასო, სასკოლო და სკოლის გარეთა აქტივობების შესახებ. სხვადასხვა ჯგუფური აქტივობების მასალა თავმოყრილია საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებში. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულებაში მიმდინარე პროცესის ხელშემწყობი დოკუმენტებისა და ხელშეკრულებების შინაარსის მიხედვით, გადანაწილებულია დასაქმებულთა პასუხიმგებლობები და შესაძლებელია სასკოლო საზოგადოების წევრთა შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• სკოლის ფსიქოლოგთან გასაუბრება;<br>• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები;<br>• შპს სადუნის წესდება;<br>• „შპს „სადუნის“ შინაგაწესის დამტკიცების შესახებ“ შპს „სადუნის“ გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-105 ბრძანება;<br>• „შპს „სადუნის“ თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ შპს „სადუნის“ გენერალური დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N1-106 ბრძანება;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

(შევსების ადგილი)

18 თებერვალი, 2022 წ.

თარიღი

გვერდების რაოდენობა 47 (ორმოცდაშვილი) ფურცელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.